



# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA000063802131621

№ 808/კ

27 / აპრილი / 2021 წ.

### მოადგილეებს შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და ამავე კანონის 57-ე მუხლის შესაბამისად

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

**მუხლი 1.** გადანაწილდეს ფუნქციები მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეს შორის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისათვის მიკუთვნებული დარგების შესაბამისად, დანართი 1 -ის მიხედვით.

**მუხლი 2.** დაევალოთ მერის მოადგილეებს, ფუნქციათა განაწილების შესაბამისად, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიკუთვნებული დარგების ხელმძღვანელობა, საკითხის განხილვა და კონტროლი მის დროულ და ჯეროვან შესრულებაზე.

**მუხლი 3.** დაევალოთ მერის მოადგილეებს, ყოველთვიურად მერს მოახსენონ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

**მუხლი 4.** ბრძანების მოქმედების ვადა განისაზღვროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების ვადით.

**მუხლი 5.** კონტროლი ბრძანების საორგანიზაციო ნაწილის შესრულებაზე დაევალოს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს.

**მუხლი 6.** ბრძანება ძალაში შედის ხელოვნურისთანავე.

**მუხლი 7.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

ჯონდო მდივნიშვილი

მერის მოადგილეებს შორის ფუნქციების განაწილება

მერის პირველი მოადგილე	მერის მოადგილე
ადმინისტრაციული სამსახური	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური
საფინანსო სამსახური	ეკონომიკის სამსახური
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური
	სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური